ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4000341

ნომერი: AR1605294

თარიღი : 01.06.2018

გაცემის თარიღი : 07.06.2018

გაცნობის თარიღი : 08.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შავთელი , N 13 , (ნაკვ. 33/1);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ღურწკაია პ/ნ 19001001822
- ი.ჭავჭავაძის 2 ჩიხი # 5 ბინა 31

ორგანიზაცია:

- შპს "სითისაით" კოდი: 405207547

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამსახური რეკომენდაციას უწევს სარეკლამო წარწერების ზომის შემცირებას. დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- გათვალისწინებული იქნას სამსახურის რეკომენდაცია და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია.
- იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე სრულყოფილად მსჯელობის შესაძლებლობა წარმოდგენილი იქნას დამატებითი ფოტომონტაჟი სადაც საპროექტო აბრები ნაჩვენები იქნება AR1602017 განაცხადის საფუძველზე დადასტურებულ აბრებთან ერთად.
- წარმოდგენილი უნდა იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის დატანით.
- გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონი. განგიმარტავთ, სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის, 25-ე მუხლის , მე-3 პუნქტის მიხედვით: ,,ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით)''
- წარმოდგენილი იქნას შორი ხედიდან შესრულებული ფოტომონტაჟი.
- წარმოდგენილი იქნას განმარტება უცხოენოვანი წარწერის განთავსებასთან დაკავშირებით (ფოტომონტაჟის მიხედვით გაუგებარია სად და როგორ ხდება ხსენებული წარწერის განთავსება)

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 დღიანი ვადა, აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.